საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/4

ქ.თბილისი

"18" იანვარი 2017 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის უფროს სერგო შავგულიძისთვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„მაუწყებლობის შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") აპარატის რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის უფროს სერგო შავგულიძეს უფლებამოსილება, რათა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სახელით ხელი მოაწეროს 2017 წლის 23-27 იანვარს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანამშრომელთა და თურქეთის რესპუბლიკის ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით დაგეგმილი შეხვედრის ოქმს ორი ქვეყნის საზღვრისპირა რეგიონში მობილური/ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელების და ციფრული სატელევიზიო და FM რადიო მაუწყებლობის საკოორდინაციო საკითხებთან დაკავშირებით;

2. დაევალოს ს. შავგულიძეს შეხვედრის ოქმის კომისიისთვის წარმოდგენა;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ს. შავგულიძის მოხსენებითი ბარათი კომისიის თავმჯდომარის რეზოლუციით (17.01.17. შ-N10/358-17).

კომისიის თავმჯდომარე ვ. აბაშიძე